# განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია

ლიცენზიის მაძიებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მაუწყებლობის სავარაუდო მოდელს, შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას.

******

ჩვენი მთავარი პრინციპია: *პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის შესაბამისობა*

მარტვილი დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის კერაა, რაიონი არაა განებივრებული ადგილობრივი რადიოსადგურების სიმრავლით, ჩვენი დიდი სურვილია მარტვილის მუნიციპალიტეტში შევქმნათ რადიოსადგური რომელიც დააკმაყოფილებს მსმენელთა ფართო აუდიტორიას და თავის წვლილს შეიტანს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც საუბარი გვაქვს აუდიტორიის ინტერესებზე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რამ, უმჯობესია რომ შევქმნათ ისეთი რადიოსადგური, რომელიც უშუალოდ ამ ტიპის რელიეფისთვის იქნება გათვლილი და მაუწყებლობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები აუდიტორიის ინტერესებს დააკმაყოფილებს. რაც შეეხება ინტერესების სფეროს და მსმენელების მოთხოვნილებებს, მათი შესწავლის საფუძველზე, გთავაზობთ მაუწყებლობის შემდეგ სავარაუდო მოდელს:

1) „ დილა“ –დასაწყისი: 08:00 სთ –ზე

გადაცემის ტიპი: შემეცნებითი და გასართობი

პროგრამა მიზნად ისახავს ყოველი დილის 08:00 საათიდან მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია ასტროლოგიური პროგნოზი , სპორტის სიახლეები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებზე. მიმდინარე დღის ამინდის შესახებ, გააცნოს იმ დღეს დაბადებულნი ხელოვანი

ადამიანები და დღესასწაულები, გამომდინარე გადაცემიდან დაისმება შესაფერისი კითხვა დილის ვიქტორინისა. ამავდროულად მსმენელებს მიეცემათ საშუალება მოუსმინონ ადგილობრივ შემოქმედ ადამიანებს .

1) „ მონატრებული ჰანგები" – დასაწყისი 12:00 სთ-ზე

დანიშნულება-ძველი ჰანგების გაცოცხლება და მსმენელებისათვის მივიწყებული მუსიკის შემეცნება.

გადაცემა დაეფუძნება 60-70-იან წლებში არსებულ სიმღერებს. დაიყოფა მუსიკალური ჟანრების მიხედვით (ქართული და უცხოური ჰიტები). ამასთანავე აუდიტორია ინფორმირებული იქნება შემსრულებლის ბიოგრაფიითა და მოღვაწეობით. გადაცემიდან გამომდინარე დაისმება კითხვები და პასუხი გაეცემა მსმენელებისაგან. მონატრებული ჰანგებით შესაძლებელია შევიჭრათ მსმენელების ყოველდღიურ ცხოვრებაში. მუსიკა ერთადაერთი ხელოვნებაა, რომელთანაც არსებობის პირველი დღიდანვე ვართ დაკავშირებული. ჩავწვდეთ სულიერ სიღრმეში და მივანიჭოთ უზომო სიამოვნება იმ კომპოზიციებით, რომელიც დავიწყებას ეძლევა.

3)ესემეს სურვილები და სატელეფონო ჩართვები – 15:00სთ-ზე

დანიშნულება; გასართობი, აუდიტორიასთან კონტაქტი. დაკმაყოფილდება მათი სურვილის მიხედვით ნათხოვნი სიმღერებით.

4) „ვიმღეროთ ერთად" – დასწყისი 17:00 სთ-ზე

მიზანი: სიმღერის ნიჭით დაჯილდოვებული მსმენელების გამოვლენა. გამოვავლინოთ სიმღერის ნიჭით დაჯილდოვებული მსმენელები. ნიჭსა და დიდოსტატობასთან ერთად შემსრულებელს მოეთხოვება ზოგადკულტურული განვითარება, რადგან იგი წარსდგება რადიომსმენელთა წინაშე. გამოყენებული იქნება კარაოკე. გადაცემის მსვლელობისას მსმენელი ცოცხლად ასრულებს ნებისმიერი მომღერლის სიმღერას სურვილისა და შესაძლებლობებისამებრ. შემსრულებლის ოსტატობას ეთერში პირდაპირი ჩართვებით შეაფასებს მსმენელი, თუ რამდენად გაართვა თავი საშემსრულებლო ხელოვნებას.

5) „საავტორო გადაცემა" – 18:00 სთ-ზე

შერჩეული გადაცემები გადანაწილდება კვირის განმავლობაში. (გასვლის ხანგრძლივობა 1 საათი), ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა ტიპის საავტორო გადაცემა გავა ეთერში შემდეგი რიგობით:

* „ჯანმრთელობა"

ჯანდაცვა ერთ-ერთი აუცილებელი სფეროა, რომელიც მრავალ სფეროს განსაზღვრავს და არეგულირებს. აუდიტორიის ინტერესის შესწავლის საფუძველზე შერჩეული იქნა გადაცემა სახელწოდებით „ჯანმრთელობა". გადაცემას წარუძღვება კომპენტენტური პიროვნება (ექიმები). გადაცემის მსვლელობის დროს მსმენელებს მიეცემათ საშუალება გამოიყენონ პირდაპირი ეთერი, დაუსვან კითხვები მათთვის საინტერესო თემებზე, დაავადებებზე, სიმპტომებზე. რასაც პროფესიონალის რჩევები და სწორი ამომწურავი პასუხები გაეცემა სტუდიაში მყოფი მოწვეული სტუმრისაგან.

(საბავშვო გადაცემა)

გადაცემის მომზადებასა და მის შემდგომ განხორციელებაში მთავარ მონაწილეობას იღებს მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. პროექტი მოიცავს მოსწავლე ახალგაზრდობის თანამონაწილეობას ახალგაზრდულ ინიციატივებში. მიეცემათ საშუალება საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა. ისწავლიან თავისუფალი დროის მიზანმიმართულ გამოყენებას გადაცემის საშუალებით წარმოჩინდება

6) ესემეს სურვილები და სატელეფონო ჩართვები – 19:00სთ-ზე

დანიშნულება: გასართობი, აუდიტორიასთან კონტაქტი.

ტიპი; გასართობ-შემეცნებითი.

7) ღამის ზღაპარი 20:00

ბავშვები ჩვენი მომავალია, ბავშვის გონება კი ნოყიერი ნიადაგია, მოცემული გადაცემა ეხება ხალხური ზღაპრების გავლენას ბავშვის მორალურ განვითარებაზე, ჩვენი სურვილია არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და ქართული ზღაპრების ინტერპრეტაციული ანალიზის საფუძველზე, შევქმნათ საბავშო ზგაპარი, მოგეხსენებათ რომ ზღაპრებს მეტაფორების საშუალებით მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციის შესრულება შეუძლიათ ბავშვის განვით არებაში, ზღაპარში არსებული ვიზუალური ხატები, არა მხოლოდ ასახავენ რეალობას, არამედ წარმოადგენენ მეტაფორებს, რომლებიც სწორ არჩევანის გაკეთებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას უწყობენ ხელს, ასეთი მეტაფორები ბავშვებს მათვის გასაგებ ენაზე გადასცემენ მნიშვნელოვან მორალურ და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს, შემუშავებული გვაქვს საბავშო ზღაპრის პროექტი რომელსაც პირდაპირ ეთერში წაიკითხავს გამოცდილი პროფესიონალი

* „სხვას რასა აქვს ფასი თუ არა ხელოვნებას" (სტუმარი ეთერში)

გადაცემა მიზნად ისახავს ადამიანის შემოქმედების გამოხატვას. საუბარი იქნება ხელოვნების დარგებზე, გადაცემის პირდაპირი ეთერი დაეთმობა მოწვეულ ხელოვან ადამიანებს: მხატვრებს, მწერლებს, მომღერლებს, პოეტებს და ასე შემდეგ. მოხდება ცოდნის გაზიარება აუდიტორიის მიმართ. გადაცემის მსვლელობისას თემის შესაბამისად მოწვეული სტუმრისაგან დაისმება კითხვა. მიზანია გამოვავლინოთ და გავაცნოთ საზოგადოებას ხელოვნების მიმართ ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანები.

* „თურმე ასეც ხდება ხანდახან" (სტუმარი ეთერში)

გადაცემა „თურმე ასეც ხდება ხანდახან" იუმორისტული ჟანრისაა. გადაცემაში მოწვეული იქნებიან რეგიონში ცნობილი სახეები, ერთი საათით განსხვავებულ ამპლუაში. საუბარი იქნება მომხდარ კურიოზებზე. გადაცემა მიზნად ისახავს თუნდაც ცოტა ხნით აუდიტორიის ყოველდღიური პრობლემების გარკვეული დროით დავიწყებას და მსმენელებთან დაახლოვებას

„ურთიერთობა"- დასწყისი-00:00 სთ-ზე

გადაცემის ხანგრძლივობა განისაზღვრება მსმენელის აქტივობის დასრულებამდე. საუბარი არჩეულ თავისუფალ თემებზე, მუსიკალური ჭრებით და სატელეფონო სურვილებით.

9) „ღამის მუსიკა"- 03:00სთ-ზე ხანგრძლივობა დილამდე.

ტიპი: თავისუფალი, სატელეფონო ჭრების გარეშე.

გადაცემის წამყვანები შერჩეულნი იქნებიან პროფესიონალიზმის მიხედვით, ყველა გადაცემას ეყოლება შესაბამისი მონაცემების მქონე წამყვანი. დროის ხანგრძლივობა თითოეული გადაცემისათვის განისაზღვრება საჭიროებისამებრ.